

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა (ფაკულტეტი)

### ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</b>
ინგლისური ფილოლოგია
<b>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური</b>
ბაკალავრიატი
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია 0231</b>
ინგლისური ფილოლოგია ბაკალავრი / Bachelor of English Philology
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>
რუსუდან ციციშვილი
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციასა და მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
<b>პროგრამის მოცულობა</b>
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს დიდ შესაძლებლობას დაგეგმოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილი.
ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტებისაგან.
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 162 კრედიტს, ხოლო არჩევით კომპონენტში კი, 78 კრედიტს.

1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 135 კრედიტს, რომელშიც შედის პრაქტიკის კომპონენტი 12 კრედიტის მოცულობით.
2. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 42 კრედიტი, რომელშიც შედის კვლევითი კონპონენტი. კვლევით კონპონენტს სტუდენტი განახორციელებს ან საბაკალავრო ნაშრომის (12 კრედიტი) ან ჯგუფური კვლევითი პროექტის (6 კრედიტი) შემთხვევაში.
3. თავისუფალი კომპონენტის ნაწილში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 63 კრედიტი, რომელიც მოიცავს 21 სავალდებულო კრედიტს და 42 არჩევით კრედიტს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოიყალიბოს და/ან გაიღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაიფართოვოს თვალსაწიერი მისთვის საინტერესო სფეროებში.
4. თავისუფალი კომპონენტის მოცემულ ნაწილში სტუდენტს ასევე შეუძლია დააგროვოს 9 კრედიტი არა მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ.

### სწავლების ენა

ქართული ენა (ინგლისური კომპონენტებით)

### პროგრამის მიზანი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური, მრავალფეროვანი ზოგადი თუ პროფესიული ცოდნით, ფართე ერუდიციითა და წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო ზოგადი, ტრანსფერული და დარგობრივ-პროფერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალკონკურენტული სპეციალისტების აღზრდას.

აქედან გამომდინარე ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს:

1. სიღრმისეულ დონეზე შეასწავლოს, როგორც ზოგადი პროფილის პრაქტიკული ინგლისური ენა C 1 დონეზე, ისე დარგობრივ - პროფესიულ ინგლისური თავისი

მრავალმხრივი თემატიკითა და მრავალფეროვანი პროფესიულ-დარგობრივი ტერმინოლოგიით. ამავდროულად, შეასწავლოს მის მიერ არჩეული ერთ-ერთი მეორე უცხო ენა (რუსული, ესპანური, ფრანგული, გერმანული) მოცემული ენის A 2 დონეზე მიზანმიმართულად გამოყენების მიზნით.

2. ხელი შეუწყოს მისი აზროვნების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების პროცესს, როგორც ინგლისური ენის გრამატიკული, ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების თავისებურებებისა და მათი სისტემური კვლევის მეთოდების შესწავლის გზით, ისე ზოგადი და დარგობრივი ენათმეცნიერებისა და მრავალსაუკუნოვანი ევროპული ლიტერატურის განვითარების პროცესის კრიტიკული გააზრების მეშვეობით; აღუძრას სამეცნიერო კვლევის სურვილი.
3. გამოუმუშავოს ინგლისურ ენაზე წერისა და მეტყველების კულტურა სხვადასხვა ტიპის პროფესიულ-დარგობრივ და სამეცნიერო - კვლევით კონტექსტში, ასწავლოს სხვადასხვა ტიპის დარგობრივ - პროფესიული თუ მხატვრული /არამხატვრული მასალის ლოგიკური და კრიტიკული გააზრება, ხელი შეუწყოს მისი პირადი აზრისა და შეფასებების გამოხატვაში, ჩამოყალიბოს მხატვრული გემოვნება.
4. დაეხმაროს გააცნობიეროს არსებული ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა რეალურ ცხოვრებაში და მათზე მიზანმიმართული, თანმიმდევრული მუშაობით ხელი შეუწყოს ნებისმიერ პროფესიაზე მორგებული, ზოგადი და სპეციფიური ტრანსფერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
5. ხელი შეუწყოს პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და მათი განხორციელებისთვის საჭირო გზების დასახვაში, ეროვნული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების გზით გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა ზნეობრივი პრინციპების ერთიანი სისტემისა და პროფესიულ - ეთიკური ქცევის კოდექსის ფარგლებში, გაუღვიძოს მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, ჩამოყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოენოვანი კულტურების მიმართ.
6. გამოუმუშავოს საბაკალავრო ნაშრომზე ან კვლევით ჯგუფურ პროექტზე მუშაობის უნარ - ჩვევები და დახმარება გაუწიოს მათ მომზადებაში.

### **პროგრამაზე დაშვების წინა პირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და ჩაბარებული აქვს გამოცდა ინგლისურ ენაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლის შემთხვევებში.

## დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის პროგრამის გავლის შემდეგ შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ყველა ტიპის დაწესებულებაში (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები), რადგან პროგრამის დასრულების შედეგად მის მიერ შეძენილ მრავალმხრივ ცოდნასა და მრავალფეროვან პროფესიულ თუ ზოგად ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს როგორც ინგლისური და ქართული ენების, ისე სხვა ნებისმიერი უცხო ენის შემთხვევაში საქართველოს მაღალკონკონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- მხატვრული, დარგობრივ-პროფესიული, სამეცნიერო - კვლევითი ლიტერატურის, ინგლისურენოვანი ფილმების, სცენარებისა და პიესების, ასევე ნებისმიერი ტიპის დოკუმენტაციის მთარგმნელებად გამომცემლობებში, ტელე - / კინოკომპანიებსა და საინფორმაციო ცენტრებში.
- დარგობრივ - პროფესიული, სამეცნიერო - კვლევითი და მხატვრული ლიტერატურის რედაქტორ - კორექტორებად და რედაქტორების თანაშემწეებად სხვადასხვა ტიპის (მათ შორის, ონლაინ) დარგობრივ, სამეცნიერო და ლიტერატურულ ჟურნალებში; ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დოკუმენტაციის, სარეკლამო და საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტებისა და ფლაერების, ვებ გვერდებისა და სხვადასხვა ტიპის სოციალური მედიისთვის გამიზნული საპრეზენტაციო და/ან პრესრელიზებისთვის საჭირო ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორ-კორექტორებად საელჩოებში, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, ტურისტულ, სარეკლამო და საინფორმაციო სააგენტოებში.
- მასწავლებლების თანაშემწეებად სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ენების სასწავლებლებსა და ცენტრებში, როგორც ტრადიციული ისე დისტანციური/ ონლაინ სწავლების პირობებში.
- ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის გადაცემების რედაქტორების, ნოტარიუსების, მოსამართლეებისა და ადვოკატების, ოფისმენეჯერებისა და პროექტის მენეჯერების, თეატრში ლიტერატურული ნაწილის გამგეებისა და სპიჩრაიტერების თანაშემწეებად;
- დიქტორებად, კორესპონდენტებად და კორესპონდენტების ასისტენტებად, სოციალური მედიის ადმინისტრატორებად, სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზატორებად, დიჯეებად, წამყვანებად, გიდებად და ექსპურსია - მძღოლებად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებების თანამშრომლებად და ა. შ.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც ენის მეცნიერებების,

ლიტერატურათმცოდნეობის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის, ანგლისტიკის, ამერიკანისტიკის, ისე სხვა მისთვის საინტერესო ჰუმანიტარული დარგის მიმართულებით, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება წინაარმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

## სწავლის შედეგები

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:

1. C1 დონეზე ფლობს და მიზანმიმართულად იყენებს ინგლისური ენის ოთხ ძირითად უნარ-ჩვევას: აღნიშნულ დონეზე ინგლისური ენის კომპეტენციის ფარგლებში თავისუფლად კითხულობს, წერს, ლაპარაკობს, ესმის ნათქვამი და ადეკვატურად რეაგირებს მასზე. პროგრამის ფარგლებში შეუძლია გავიდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო რეფერენციული ჩარჩოს (CEFR) სტანდარტით განსაზღვრულ C1 დონის კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდაზე (CAE) ენის საერთაშორისო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად; ასევე, შეუძლია მეორე უცხო ენის 12 - კრედიტიანი კურსის გავლის შემდეგ ჩააბაროს იგივე ტიპის საერთაშორისო გამოცდა მის მიერ არჩეულ მეორე უცხო ენაში და მოიპოვოს ენის საერთაშორისო კვალიფიკაცია A2 დონეებზე.
2. ერთი მხრივ, სიღრმისეულად აცნობიერებს ზოგადად ენის და ამავდროულად თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკული (მორფოლოგიურ - სინტაქსური), ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების ერთიანობას და მათი ერთობლივი ფუნქციონირების თავისებურებებს, ხოლო მეორე მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ინგლისური სალიტერატურო ენის ნაირგვარ ფუნქციებსა და მათი გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოვლენის ხერხებს წერით თუ ზეპირ მეტყველებაში, ასევე სიღრმისეულად აქვს გააზრებული დარგობრივ - პროფესიული ინგლისური ენის თემატური მრავალგვარობა, მისი ფუნქციონირების სფეროების ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა.
3. გაიაზრებს, მრავალფეროვანი პროფესიულ - დარგობრივი ენის სათანადო რეგისტრის ფარგლებში აღწერს და განმარტავს სხვადასხვა ენის მეცნიერებებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების განვითარების გზებსა და დარგთაშორის მსგავსება - განსხვავებებს და მათი განხრით მიღებული თეორიულ ცოდნის საფუძველზე დამაჯერებლად ასაბუთებს კონკრეტულ სფეროში არსებული სამეცნიერო ინფორმაციის ღირებულებას საკუთარ ნააზრევთან მიმართებით.
4. როგორც ინგლისურენოვან დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობისას, ისე თანამედროვე ფორმის მქონე, ტექნოლოგიურად გამართული პროფესიული პრეზენტაციებისა და საკონფერენციო მოხსენებების წარდგენისას, თამამად გამოხატავს თავის აზრებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად მსჯელობს მრავალფეროვან ზოგად და პროფესიულ თემებზე, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები.
5. კონკრეტული აკადემიური თუ დარგობრივ - პროფესიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასრულებს სხვადასხვა ტიპის წერით ნაშრომს ინგლისურ ენაზე: წერს სხვადასხვა ტიპის საკურსო შრომას (მგ. რეფერატი), სხვადასხვა ტიპის ესეს (მგ.

არგუმენტირებული ესსე), განხორციელებული ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის ანგარიშს, რეცენზიას ფილმზე/წიგნზე, მოთხრობის ან სტატიის მოკლე შინაარსს და ა.შ.

6. მუშაობს საოფისე პროგრამებთან, ფაილების გაცვლის სისტემებთან, ქმნის საიტებსა და ბლოგებს, შეუძლია Google-ის ღრუბლოვანი სერვისების გამოყენება.
7. მოიძიებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას (სამეცნიერო, დარგობრივ - პროფესიული, მხატვრული, არამხატვრული, საქმიანი) კონკრეტულ თემასთან ან ტექსტთან კავშირში, დარგის მოთხოვნების საფუძველზე კრიტიკულად გაიზრებს და ამუშავებს მოპოვებულ ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზაციასა და კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას აქტუალურ ან საკვლევ საკითხთან მიმართებით, შესაფერისი აკადემიური ფორმით აყალიბებს მას.
8. საჭიროებისამებრ გამოავლენს და იყენებს სწავლის ავტონომიურ უნარ-ჩვევებსა და სტრატეგიებს და შეფასებისა და თვით-შეფასების კრიტერიუმებს აკადემიური პროცესის მსვლელობის გააზრების მიზნით.
9. წერს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს ან მონაწილეობს კვლევითი ხასიათის ჯგუფურ პროექტში წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე.
10. თვალ-ყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის პერმანენტულ განახლებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი, ეფექტური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას.
11. რეალისტურად აფასებს საკუთარ თავს, თავის ცოდნასა და უნარ - ჩვევებს, თავად გეგმავს თავისი შემდგომი პროფესიული განვითარების გზას, ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს. არის მცოდნე, განათლებული, შრომისმოყვარე, აქტიური, თავდაჯერებული, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, დამოუკიდებელი/თვითკმარი, მაღალი ეთიკური და მორალური ფასეულობებისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი.

### სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები და სათანადო აქტივობები, რომლებიც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლება - სწავლის მეთოდები:

ლექცია  სემინარი  პრაქტიკული მეცადინეობა  საბაკალავრო ნაშრომი   
 კვლევითი ჯგუფური პროექტი  სასწავლო პრაქტიკა  დისტანციური სწავლება   
 საშინაო დავალება  საკლასო დავალება და სხვა

აქტივობები:

- წიგნზე მუშაობა
- წერიტი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;

- დემონსტრირება;
- დისკუსია/დებატები
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება
- გონებრივი იერიში (Brain storming).
- გუნდური (Collaborative) მუშაობა;
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა);
- პრაქტიკული მეთოდები
- ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი
- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება)
- ელექტრონული რესურსით სწავლება

### შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერილითი გამოცდა, ზეპირი/წერილითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

#### **ხუთი სახის დადებითი შეფასება**

- (A) ფრიადი \_ შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი \_ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი \_ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი \_ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

#### **ორი სახის უარყოფითი შეფასება**

(FX) ვერ ჩააბარა \_ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა \_ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

#### **პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები**

##### **მატერიალური რესურსი:**

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;



- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

#### ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

#### ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. C1 დონეზე ფლობს და მიზანმიმართულად იყენებს ინგლისური ენის ოთხ ძირითად უნარ-ჩვევას: აღნიშნულ დონეზე ინგლისური ენის კომპეტენციის ფარგლებში თავისუფლად კითხულობს, წერს, ლაპარაკობს, ესმის ნათქვამი და ადეკვატურად რეაგირებს მასზე. პროგრამის ფარგლებში შეუძლია გავიდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო რეფერენციული ჩარჩოს (CEFR) სტანდარტით განსაზღვრულ C1 დონის კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდაზე (CAE) ენის საერთაშორისო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად; ასევე, შეუძლია მეორე უცხო ენის 12 - კრედიტიანი კურსის გავლის შემდეგ ჩააბაროს იგივე ტიპის საერთაშორისო გამოცდა მის მიერ არჩეულ მეორე უცხო ენაში და მოიპოვოს ენის საერთაშორისო კვალიფიკაცია A2 დონეებზე.

#### სამიზნე ნიშნული:

1 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ინგლისური ენა - C1+ - 1
- ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2
- ინგლისური ენის ფონეტიკა 2
- კითხვის უნარ - ჩვევები 4
- ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა)
- ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა/პოეზია)
- აკადემიური წერა 2

- ზოგადი ფსიქოლოგია
- ეთიკა
- რუსული ენა 4
- ესპანური ენა 4
- გერმანული ენა 4
- ფრანგული ენა 4
- კომპიუტერული უნარები 1
- სწავლის უნარ-ჩვევები
- პრეზენტაციის უნარ - ჩვევები

2. ერთი მხრივ, სიღრმისეულად აცნობიერებს ზოგადად ენის, და ამავდროულად თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკული (მორფოლოგიურ - სინტაქსური), ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების ერთიანობას და მათი ერთობლივი ფუნქციონირების თავისებურებებს, ხოლო მეორე მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ინგლისური სალიტერატურო ენის ნაირგვარ ფუნქციებსა და მათი გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოვლენის ხერხებს წერით თუ ზეპირ მეტყველებაში, ასევე სიღრმისეულად აქვს გააზრებული დარგობრივ - პროფესიული ინგლისური ენის თემატური მრავალგვარობა, მისი ფუნქციონირების სფეროების ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა.
3. გაიაზრებს, მრავალფეროვანი პროფესიულ - დარგობრივი ენის სათანადო რეგისტრის ფარგლებში აღწერს და განმარტავს სხვადასხვა ენის მეცნიერებებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების განვითარების გზებსა და დარგთაშორის მსგავსება - განსხვავებებს და მათი განხრით მიღებული თეორიულ ცოდნის საფუძველზე დამაჯერებლად ასაბუთებს კონკრეტულ სფეროში არსებული სამეცნიერო ინფორმაციის ღირებულებას საკუთარ ნააზრევთან მიმართებით.

სამიზნე ნიშნული:

2 და 3 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ინგლისური ენა - C1+ - 1
- კითხვის უნარ - ჩვევები 4
- ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა)
- ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა/პოეზია)
- აკადემიური წერა 2
- ინგლისური ენის პეაქტიკული გრამატიკა B 2
- ინგლისური ენის ფონეტიკა 2
- პრეზენტაციის უნარ-ჩვევები
- ინგლისური ენის მორფოლოგია
- ინგლისური ენის სინტაქსი
- ინგლისური ენის ლექსიკოლოგია
- ინგლისური ენის სტილისტიკა

- ინგლისური ენის ისტორია
- დიადი წიგნები: დაფუძნების იდეა და დამფუძნებლები
- დიადი წიგნები: დრამა სხვადასხვა პერპექტივიდან
- დიადი წიგნები: ამბოხი ღმერთების წინააღმდეგ
- დიადი წიგნები: პოლიტიკური რეჟიმები
- მე-20 საუკუნის ინგლისის ლიტერატურა
- მე-20 საუკუნის ამერიკის ლიტერატურა
- ზოგადი ფსიქოლოგია
- ეთიკა

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

4. როგორც ინგლისურენოვან დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობისას, ისე თანამედროვე ფორმის მქონე, ტექნოლოგიურად გამართული პროფესიული პრეზენტაციებისა და საკონფერენციო მოხსენებების წარდგენისას, თამამად გამოხატავს თავის აზრებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად მსჯელობს მრავალფეროვან ზოგად და პროფესიულ თემებზე, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები.

- არსებულ ციფრულ ტექნოლოგიურ რესურსზე დაყრდნობით მწყობრად წარადგენს საკონფერენციო თუ საპრეზენტაციო მასალას
- პრეზენტაციის/მოხსენების დროს აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით ეფექტურად იყენებს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კომუნუკაციის ნაირგვარ ფორმებს
- ადეკვატურად პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს
- იცავს პრეზენტაციისა თუ მოხსენებისთვის დადგენილ დროის ლიმიტს
- აქტიურად ერთვება კონკრეტული თემის ჯგუფურ განხილვაში, ჯგუფის წევრებს საჭიროებისამებრ უზიარებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, სვამს კრიტიკული ხასიათის კითხვებს, ყურადღებით ისმენს პასუხებს, გამოთქმული აზრების შეჯერების საფუძველზე ახდენს რეაგირებას ყველა ეთიკური ნორმის დაცვით
- საუბრისას იყენებს რთულ გრამატიკულ სტრუქტურებსა და კონკრეტული სტილისა და რეგისტრის შესაბამის მრავალფეროვან ლექსიკას
- აქვს ადეკვატური წარმოთქმა, გაბმულად მეტყველებისას იყენებს ბუნებრივ რიტმსა და ინტონაციას.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საშინაო დავალება და კლასში მუშაობა/ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა /წიგნზე მუშაობა/ინტერნეტ რესურსებით სწავლება/ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია/ვერბალური მეთოდი/ახსნა-განმარტებითი მეთოდი /დისკუსია/ დებატები/ პროექტზე დაფუძნებული სწავლება / კვლევითი პროექტი/საბაკალავრო ნაშრომი/საკურსო შრომა

5. კონკრეტული სამეცნიერო თუ აკადემიური, დარგობრივ - პროფესიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასრულებს სხვადასხვა ტიპის წერით ნაშრომს ინგლისურ ენაზე: წერს

სხვადასხვა ტიპის საკურსო შრომას (მგ. რეფერატი), სხვადასხვა ტიპის ესეს (მგ. არგუმენტირებული ესესე), განხორციელებული ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის ანგარიშს, რეცენზიას ფილმზე/წიგნზე, მოთხრობის ან სტატიის მოკლე შინაარსს და ა.შ.

- სიღრმისეულად გაიაზრებს აკადემიური წერის პროცესს: ლოგიკურად ალაგებს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ მასალას
- აქვს აკადემიური ტექსტის სათანადო ფორმით მოდელირების უნარი
- სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ეფექტურად აგებს წერითი ნაშრომის სტრუქტურას, იყენებს არჩეული სტრუქტურის შესაბამისი პარაგრაფის ტიპს (მგ. აღწერა, ნარატივი და ა.შ.)
- ნაწერის სტილისა და რეგისტრის საფუძველზე ირჩევს აღნიშნული დონის შესაბამის რთულ გრამატიკულ სტრუქტურებსა და სათანადო ფუნქციურ და თემატურ ლექსიკას
- იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის არსებულ ნორმებს

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საშინაო დავალება და კლასში მუშაობა/ინდივიდუალური მუშაობა / წიგნზე მუშაობა / ჯგუფური მუშაობა / ინტერნეტ რესურსებით სწავლება/ წერითი მეთოდი/ ახსნა-განმარტებითი მეთოდი / საკურსო შრომა / ესესე / პროექტის ანგარიში / პროექტზე დაფუძნებული სწავლება

6. მუშაობს საოფისე პროგრამებთან, ფაილების გაცვლის სისტემებთან, ქმნის საიტებსა და ბლოგებს, შეუძლია Google-ის დრუბლოვანი სერვისების გამოყენება.

- იყენებს Google-ის დრუბლოვან სერვისებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოპოვებისა და დამახსოვრების მიზნით
- იყენებს სხვადასხვა ტიპის სოციალურ მედიას (მის მიერ შექმნილ საიტებს, Facebook გვერდებს და ბლოგებს) მრავალფეროვანი პროფესიული კომუნიციისთვის, პროფესიული საქმიანობის მხარდასაჭერად და ა.შ.
- იყენებს მრავალფეროვან საოფისე პროგრამებს პროფესიული პრეზენტაციის, კვლევითი პროექტის, საკონფერენციო მოხსენების, სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის და ა.შ. მომზადების პროცესში და მისი წარდგენის დროს:
  - Windows 7 / 10,
  - Ms. Word 2007 - 2013,
  - Ms. Excel 2007 - 2013,
  - Ms. Power Point 2007 -2013,
  - Internet Explorer

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საშინაო დავალება და კლასში მუშაობა/ ინდივიდუალური მუშაობა / გუნდური მუშაობა / ინტერნეტ რესურსებით სწავლება/ ახსნა-განმარტებითი მეთოდი / პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება / დემონსტრირება / პრაქტიკული მეთოდები / თანამშრომლობითი სწავლება/ პრეზენტაცია / პროექტი

7. მოიძიებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას (სამეცნიერო, დარგობრივ - პროფესიული, მხატვრული, არამხატვრული, საქმიანი) კონკრეტულ თემასთან ან ტექსტთან კავშირში,

დარგის მოთხოვნების საფუძველზე კრიტიკულად გაიზრებს და ამუშავებს მოპოვებულ ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზაციასა და კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას აქტუალურ ან საკვლევ საკითხთან მიმართებით, შესაფერისი აკადემიური ფორმით აყალიბებს მას.

- ინგლისურ (და ქართულ) ენაზე მოიძიებს ენის მეცნიერებებთან და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურას
- იყენებს სამეცნიერო დარგისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებსა, მოცულობითი მასალის გააზრების საფუძველზე ჩამოყალიბებული კვლევის უნარ-ჩვევებს
- ზეპირი თუ წერილობითი ფორმით დამაჯერებლად აყალიბებს მიღებული კვლევის შედეგებს
- ნებისმიერ თემასთან ან ტექსტთან დაკავშირებით მოპოვებულ ტექსტურ, აუდიო ან/და მულტიმედია ინფორმაციას აანალიზებს, ამდიდრებს დამატებითი დეტალებით და სათანადო შეფასებითი კომენტარებით წარმოადგენს სათანადო ფორმით
- აქვს როგორც მხატვრული ისე არამხატვრული ტექსტის გაგების, ტექსტიდან მიღებული შინაარსობრივი და ემოციური ინფორმაციის სიღრმისეული გააზრების, ავტორისეული სათქმელის აღქმის, ინტერპრეტაციისა და მისი შესაბამისი ფორმით გადმოცემის უნარი

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საშინაო დავალება და კლასში მუშაობა/ ინდივიდუალური მუშაობა / ინტერნეტ რესურსებით სწავლება/ საკურსო შრომა / ესსე / კვლევითი პროექტი /სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / პრეზენტაცია / პრაქტიკა

8. გამოავლენს და იყენებს სწავლის ავტონომიურ უნარ-ჩვევებსა და ინდივიდუალურ სტრატეგიებს და შეფასებისა და თვით-შეფასების კრიტერიუმებს აკადემიური პროცესის მსვლელობის გააზრების მიზნით.

- დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარ აკადემიურ პროცესს
- დაისახავს და აღწევს სასურველ საგანმანათლებლო მიზნებს
- დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ, დარგობრივ - პროფესიულ სამუშაოს
- გამომუშავებული თვით - შეფასების სტრატეგიების საფუძველზე აფასებს საკუთარ მიღწევებს
- განაზოგადებს ნაცნობ დარგობრივ - პროფესიულ გარემოში გამოტანილ დასკვნებს და დამაჯერებლად იყენებს მათ ახალ კონტექსტში
- თავისუფლად ერთვება ნებისმიერი ტიპის გუნდურ მუშაობაში და მონაწილეობს მის მართვაში, მიზანმიმართულად იყენებს სამუშაო პროცესის სხვადასხვა ეტაპებისა და ეტაპობრივად განხორციელებული ამოცანების შეფასების სათანადო სტრატეგიებს

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / გუნდური მუშაობა / საკურსო შრომა / ესე / კვლევითი პროექტი /სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / პრეზენტაცია / პრაქტიკა

9. წერს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს ან მონაწილეობს კვლევითი ხასიათის დარგობრივ ჯგუფურ პროექტში წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე.
- სრულად მიჰყვება სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას
  - ნაშრომში წარმოდგენილი თეზისი ნათელია, კონკრეტული და არგუმენტებით განმტკიცებული
  - გამოყენებულია სამეცნიერო კვლევის სათანადო მეთოდი
  - დამუშავებულია და თანდართულია მრავალფეროვანი, თემის შესაბამისი ლიტერატურა
  - გამოავლენს და იყენებს დასმული პრობლემის სათანადო/რელევანტური გზით გადაწყვეტის უნარს
  - არის გუნდური მოთამაშე - აქტიურად მონაწილეობს კვლევით პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპზე (მგ. დაგეგმვა, წერა, პრეზენტაცია)
  - რეგულარულად აფასებს საკუთარ საქმიანობას პროექტის თანმიმდევრულად განხორციელებულ ეტაპებთან და საბოლოო მიზანთან მიმართებით - წარადგენს თვითშეფასების სრულად შევსებულ დღიურს, იძლევა ამომწურავ ახსნა-განმარტებებს

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / ჯგუფური მუშაობა / კვლევითი პროექტი /სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / პრეზენტაცია / პრაქტიკა

10. თვალ-ყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის პერმანენტულ განახლებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი, ეფექტური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას.
- ყურადღებით აკვირდება მეცნიერების სიახლეებს ენის მეცნიერებებისა და ლიტერატურათმცოდნეობის განხრით
  - განხორციელებულ სამეცნიერო ცვლილებებთან კავშირში შეუძლია სასურველი ინფორმაციის მოძიება, სისტემატიზაცია და გამოყენება
  - მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკული გააზრების მეშვეობით შეუძლია, როგორც ცოდნის შევსება/განახლება და გაღრმავება, ისე ახალი, მისთვის სასურველი უნარ - ჩვევების ჩამოყალიბება

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / კვლევითი პროექტი /სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / პრაქტიკა

11. თავად გეგმავს თავისი შემდგომი პროფესიული განვითარების გზას, ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს. არის მცოდნე, განათლებული, შრომისმოყვარე, აქტიური,

თავდაჯერებული, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, თვითკმარი, მაღალი ეთიკური და მორალური ფასეულობებისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი.

- შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საგანმანათლებლო საჭიროებები და დაგეგმოს თავისი უწყვეტი პროფესიული განვითარება
- შეუძლია შესაფერისად მართოს თავისი რეალიზებული (ადამიანური) რესურსები, ასევე მოახდინოს თავისი პოტენციური რესურსების თანდათანობითი რეალიზაცია
- შეუძლია დროის რესურსის ოპტიმალური გამოყენება
- შეუძლია შესაფერისად მართოს მის ხელთ არსებული მატერიალური რესურსები
- შეუძლია თავის თავზე აიღოს ინიციატივა და სასურველი შედეგი მიიღოს
- შეუძლია პროფესიულ დონეზე შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, სწორად დაგეგმოს და მართოს სამუშაო პროცესი, სრული პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებებზე

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / კვლევითი პროექტი /სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / პრაქტიკა

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების თუ დასაბუთებათა სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა.

დანართი 2: CV - რუსუდან ციციშვილი